ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:ბ62. 62243054
თარიღი:31/10/2024

ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1123.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ"–ქვეპუნქტის ,,დ.ა"–ქვეპუნქტის, ,,ე"–ქვეპუნქტის ,,ე.ე"–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" მე–2 მუხლის ,,ი"–ქვეპუნქტის და 34–ე მუხლის პირველი პუნქტის და ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1123.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების პრივატიზების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 ოქტომბრის №g-63.63243043 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1123.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1123.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 300 (სამასი) ლარი.

1.3. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1123.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 30 (ოცდაათი) ლარი.

1.4. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №66-ის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1123.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.50.543) არსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობების საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 100 (ასი) ლარი.

1.5. პირობად განისაზღვროს, რომ:

1.5.1. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

1.5.2. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

1.5.3. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 30 (ოცდაათი) დღე. აღნიშნული 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების დადებიდან.

1.5.4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ბახტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი